საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში
ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

თავი XXXIII
ნარკოტიკული დანაშაული

1. 260-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 260. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების I ან II სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა.

1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების I ან II სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა მცირე ოდენობით,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **შვიდ წლამდე.**

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
   ა) დიდი ოდენობით;
   ბ) ჯგუფის მიერ;
   გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
   დ) არაერთგზის;
   ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ხუთიდან თორმეტ წლამდე.**

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით ან მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, პუნქტებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **შვიდიდან თხუთმეტ წლამდე**

4. 260-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი გასაღების მიზნით ან გასაღება მცირე და დიდი ოდენობით,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ცხრიდან ჩვიდმეტ წლამდე.**

5. 260-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი გასაღების მიზნით ან გასაღება განსაკუთრებით დიდი ოდენობით,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით**

შენიშვნა:
1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების სია დამტკიცებულია საქართველოს კანონით „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“
2. ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლოგისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

2. 261-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 261. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა მცირე ოდენობით,

ისჯება **ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.**

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა)დიდი ოდენობით;
ბ)წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
დ) არაერთგზის;
ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **სამიდან ექვს წლამდე.**

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით ან მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, პუნქტებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ხუთიდან რვა წლამდე**

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი გასაღების მიზნით

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ექვსიდან ათ წლამდე.**

5. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი ანალოგის გასაღება

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **შვიდიდან თორმეტ წლამდე.**

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით..

3. 262-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 262. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების I , II ან III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან საერთაშორისო გადაზიდვა ტრანზიტით.

1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან საერთაშორისო გადაზიდვა ტრანზიტით მცირე ოდენობით

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ოთხ წლამდე.**

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

> ა) დიდი ოდენობით;
> ბ) საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების I ან II სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ან მისი ანალოგის;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **რვიდან თოთხმეტ წლამდე.**

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
ბ) არაერთგზის;
გ) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული,
ე) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ,
ვ) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
ზ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ,-
თ) გასაღების მიზნით.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.**

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

4. 263-ე მუხლი ამოღებულ იქნეს

5. 264-ე მუხლი ამოღებულ იქნეს

6. 265-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 265. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების I, II ან III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება

1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების I, II ან III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ორიდან ხუთ წლამდე.**

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) დიდი ოდენობით;
ბ)სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
გ) არაერთგზის;
დ) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ოთხიდან შვიდ წლამდე.**

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა)განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ
გ)გასაღების მიზნით

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ექვსიდან ათ წლამდე.**

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

7. 266-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 266. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების I, II ან III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა

1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების I, II ან III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **სამ წლამდე.**

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
   ა) წინასწარი შეთანხმეგით ჯგუფის მიერ;
   ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
   გ) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ორიდან ხუთ წლამდე.**

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

8. 267-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 267. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების II ან III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების შესაძენად წინასწარი შეცნობით არასწორი დიაგნოზის დასმა, ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება

1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების შესაძენად წინასწარი შეცნობით არასწორი დიაგნოზის დასმა, ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების II სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესაძენად;
ბ) არაერთგზის;
გ)სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,-
დ)დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით
ე)წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.".

9. 268-ე მუხლი ამოღებულ იქნეს

10. 269-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 269. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების II ან III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, რეალიზაციის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დარღვევა

1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების III სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, რეალიზაციის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დარღვევა რამაც მისი მცირე ოდენობით უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება,
ა)დიდი ოდენობით;
ა)რამაც საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების II სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია,
ბ) ჩადენილი გასაღების მიზნით

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.".

11. 270-ე მუხლი ამოღებულ იქნეს

12. 271-ე მუხლი ამოღებულ იქნეს

13. 272-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 272. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების I ან II სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება

1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების I ან II სიაში შეტანილი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ოთხიდან შვიდ წლამდე.**

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი ჯგუფის მიერ ან ჩადენილი ორი ან მეტი პირის ან არასრულწლოვნის მიმართ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **ექვსიდან ათ წლამდე.**

14. 273-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

15. 274-ე მუხლი ამოღებულ იქნეს

16. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი